1938

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბერი

9

1938

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოქტომბრელი

№ 9
სექტემბერი
1938 წ.
გამომცემლობა „კომუნისტი“
რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-02-61

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას და საქ. განსახკომის ერთთვიური ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

		გვ.
1.	სანდრო ულენტი—ქარვის მტევანი (ლექსი)	1
2.	ნიკოლოზ ნაბრელი—მუნჯი (ნარკვევი)	2
3.	გიორგი კაჭახიძე—ძმა ჰყავს უკვე (ლექსი)	5
4.	მირანდა გამსახურდია—ფისო დედობილი (მოთხრობა)	6
5.	კოსტა ხეთაგუროვი—ყუბადი (პოემა) თარგმანი მიქელ პატარიძის	7
6.	ი. გრიშაშვილი—ნორჩ პოეტს (ლექსი)	8
7.	ალ. სულავა—ბავშვების მოსიყვარულე მწერალი (წერილი)	9
8.	ლავრენტი ჭიჭინაძე—ეკატერინე გაბაშვილი (მოგონება)	11
9.	ილია სიხარულიძე—მამლის ოჯახი (ლექსი)	12
10.	ნინო ნაკაშიძე—ბეკეკა (ზღაპარი პიესად)	13
11.	მამაცი მედოლე	16

გავშვთა შემოქმედება

12.	მედეია კანდელაკი—ენატლიკინა ზაირა	გარეკანის მე-3 გვ.
13.	ალ. საჩინოელი—გამოცანები	გარეკანის მე-3 გვ.
14.	**გ ა ს ა რ თ ო ბ ი**	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვ. **დონის** მიერ.

გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატვ. **კ. გძელიშვილს.**

პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჭიჭინაძე **პასუხისმგებელი მდივანი თ. შანშიაშვილი**

გადაეცა წარმოებას 26/VIII-1938 წ. ქაღალდის ზომა 60×92
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IX ფორმათა რაოდენობა 16 გვ. $9^1/_4 \times 14$

მთ. № 2183 ტირ. 8.300, შეკვ. № 940. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარვის მტევანი

სანდრო ქლენჯი

ამ ზვრებსა და ამ ვენახებს
შემოდგომის ეშხი ქარგავს...
კვლავ მწიფდება ბაღში ხილი
და ეყრება ვაზებს ქარვა.

კეკლუცობენ ლურჯ ფოთლებით
ეს ვაზები მწყობრად მდგარი;
საცა არის რთველს შეჰხვდება
მოჭრიალე მარნის კარი.

33/2

საცა არის საწნახელში
ჩავახვავებთ ქარვის მტევნებს,
მაშინ კაცი ქვევრის პირას
სიხარულით გაათენებს.

კვლავ წკრიალით ამ ღარიდან
ჩაიმღერებს ქვევრში ტკბილი,
და მარნიდან კოლმეურნე
დღეს შესცინებს სისხამ დილით.

მალე რთველში გახურდება
სიცილი და „ჩქარა, ბიჭო,

თუ დაგძლია მაგ გოდორმა,
რომ მოკაკვო თითი, გიჯობს“.

ყველა ერთად ავმღერდებით,
რა კარგია ასე შრომა...
მეც ავავსებ კალათს ფიცხლავ,
აკიდებს ავჭრი ბლომად.

იჭრიალებს მარნის კარი,
იწანწკარებს ქვევრში ტკბილი,
და მარნიდან ქარვის მტევნით
დღეს შევხვდები სისხამ დილით.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა თბილისი

ნიკოლო ნაგრელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნჯი

ეს მერამდენე საათია თოვლზე სრიალებს ცელქი და მოუსვენარი პატარა ლიდია. ვერც დაღლას გრძნობს, ვერც ზამთრის სუსხს.

ამაოდ ეძახის დედა შინიდან:

— შვილო, შემოდი ოთახში, თორემ გაცივდები და ავად გახდებიო.

ლიდიას კი თითქოს არ ესმის დედის სიტყვები და კვლავ თამაშობს გარეთ, სადაც თოვლია და ცივი ქარი სისინებს.

მთელი დღე იხტუნა მან და მხოლოდ მაშინ გასწია შინისაკენ, როცა დაღლილობა მოერია, როცა ძლიერ გაოფლიანდა. ოთახის კარებთან მიახლოვებისას ისეთნაირად დაჰბერა ქარმა, რომ გაოფლიანებული ლიდია სიცივისაგან აძაგძაგდა. ბავშვს ლალის ფერი დაეკარგა, სახეზე სილურჯემ გადაუარა.

— დედა, გავიყინე, მცივა!

ლიდიას შუა ღუმელთან დაუდგეს სკამი. ღუმელში ცეცხლი გიზგიზებდა, მაგრამ ბავშვი მაინც ვერ გათბა. მცივა, მცივაო, ისევ იძახდა იგი.

მალე ლოგინში ჩააწვინეს, სამი საბანი გადაახურეს. ლიდიას ღრმად ჩაეძინა. იწვა ბავშვი წყნარად, მყუდროდ. მხოლოდ მისი ხშირი სუნთქვა არღვევდა სამარისებურ დუმილს, რომელიც იმ დროს დაუფლებოდა ოთახს. დედა დაღვრემილი

იჯდა სასთუმალთან. დედის გული რაღაც საშინელებას გრძნობდა.

— უიმე, ცეცხლი, უიმე, დავიწვი, მიშველეთ! — უეცრად გიჟივით წამოიყვირა ლიდიამ, წამოიყვირა და ფეხზე წამოდგა. სახე ცეცხლივით უვარვარებდა.

— გამიშვით, დავიწვი, წყალში უნდა ჩავვარდე! — ცივი ხმით იკივლა და ნაბიჯის გადადგმა სცადა, სცადა, მაგრამ ლონემიხდილი რეტდასხმულივით ჩაიკეცა ლოგინში. მთელი ღამე არ დაუძინია. იწვა მიბნედილი, თვალებდახუჭული და რაღაცას გაუგებრად ლუღლუღებდა. მხოლოდ ხანდახან წამოიკივლებდა:

— ვაიმე, დავიწვი, დავიწვიო.

მეორე დღიდან გრძნობაც დაეკარგა.

* * *

მოიწვიეს ექიმი. მსუქანი, ბეწვის პალტოში ჩამალული კაცი ფრთხილად შემოვიდა ოთახში.

— გადახადეთ საბანი, — თქვა ბრძანების კილოთი მაშინვე. ბავშვს სინჯვა დაუწყო. სინჯავდა ათ წუთს. მერე უგულოდ ჩაილაპარაკა: ტვინის ანთებაა.

ამ ორმა სიტყვამ ყველა ააფორიაქა.

ექიმი წავიდა. მას გაჰყვა ლიდიას ბიძა.

— ექიმო, ექიმო, მითხარით, რა მოუვა ბავშვს? — ჰკითხა მან ექიმს.

— რა უნდა მოუვიდეს? აბა რა გითხრათ: ბავშვი მოკვდება, ან, თუ მორჩა, სრულ ჭკუაზე არ იქნება,

— ოჰ, ექიმო, რა დროს სიკვდილია! იგი ჯერ ხომ ხუთი წლისაც არაა!

მის მერე ყოველდღე დადიოდა ლიდიას სამკურნალოდ ის ექიმი. სხვებიც მოიწვიეს, მაგრამ ბავშვს ვერაფერი უშველეს, ვერ მოარჩინეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აგერ რამდენი დღეა ლიდია ავადაა, და დედას თვალიც არ მოუხუჭავს, სულ საბრალო შვილს მისჩერებია. ცუდს გრძნობს დედის გული, მაგრამ პატარა პირმშოს სიკვდილს კი არა. დედა მოუთმენლად ელის ბავშვის განკურნებას. ელის, ელის, მაგრამ ეს ოხერი დღეები და ღამეები რა ზლაზვნით მიდიან და მაინც არაფერი ჩანს.

მხოლოდ გვიან დაეტყო ლიდიას სხეულს ოდნავ მეტი სიცოცხლე. ბავშვმა თვალები გაახილა, ხელები გაასავსავა.

— შვილო! — აღტაცებით წამოიძახა დედამ.

ბავშვი არ განძრეულა.

— შვილო! — ისევ შესძახა დედამ, — შვილო! მითხარი რამე.

ლიდიამ მაინც არაფერი თქვა, თვალები დახუჭა და მიიძინა.

გაიღვიძა საღამოს, როცა ყველანი ეახშმობდნენ. ბავშვმა შიმშილი იგრძნო. უნდოდა ეთქვა მაჭამეთო, მაგრამ ენა ვერ დაძრა. მხოლოდ დედას მიაშტერდა საბრალო, საცოდავი გამომეტყველებით.

— შვილო, ლიდია, მითხარი, გენაცვალე, რა გინდა, მითხარი! — თვალცრემლიანი ემუდარებოდა დედა.

— მმმუ... მმმ... — მხოლოდ სუსტად, მიმქრალი ხმით დაიზმუილა წინათ მოუსვენარმა და ენატარტალა ბავშვმა.

— უიმე, დამუნჯებულა, დამუნჯებულა! — წამოიძახა ყველამ. ყველა აქვითინდა.

ლიდიამაც იგრძნო თავისი უბედურება და ყრუდ, გაგუდულად ატირდა. მორჩა, გათავდა! ამიერიდან მუნჯი იქნება, ვერაფერს იტყვის, ვერაფერს გაიგონებს, ვერავის დაელაპარაკება, სკოლაშიც ვერ ისწავლის. ოჰ, რამდენი ლექსი იცოდა ზეპირად ლიდიამ, ახლა კი მუნჯია, მუნჯი!

ტირის და ტირის გულაჩუყებული ბოგონა. გული ეთუთქება, უნდა რამე თქვას, გაუზიაროს სხვას თავისი მწუხარება, მაგრამ ენა, ეს დადუმებული ენა ვერ დაუძრავს. ანჩხლობს, ნერვიულობს, ბრაზობს... და მეტისმეტი სიბრაზით ხანდახან მხოლოდ „მმმ...მმმ“-ს იძახის.

გავიდა დრო. ის უკვე განიკურნა, ფეხზეც დადის, მაგრამ რად უნდა ასეთი სიცოცხლე! ვერ ლაპარაკობს, ვერა, ვერა! აი, დღეს ეზოში იყო. იქ წითელი ხარი ნახა. ისევ ლამაზი და მძლავრი ეჩვენა რქააყრილი ჟოტია. უნდა დედას უთხრას ამაზე, მაგრამ როგორ? და უცებ მოისაზრა: ხელები კეფაზე გაიკეთა რქებივით და თავი აამოძრავა. დედამ უყურა, უყურა... ჯერ ვერაფერს მიხვდა, მაგრამ ბოლოს მაინც გაიგო ბავშვის საიდუმლოება.

ნაშუადღევს ცისანასთან წავიდა. მეგობარი მხიარულად შეეგება, ამბები გამოკითხა, მაგრამ ლიდია მხოლოდ ხელების ქნევას მოჰყვა. ცისანამ ვერაფერი გაიგო. მას შეეცოდა ამხანაგი.

— სად იყავი, შვილო? — ჰკითხა დედამ ლიდიას დაბრუნებისას.

ბავშვმა მარჯვენა მკლავი მაგრად მიიხუტა გვერდზე.

— აჰ, ამხანაგთან? — თქვა დედამ, — მაშ, მკლავის მიხუტება მეგობარს ნიშნავს?

ასე მიდიოდა დღეები. ლიდიას შემოჰქონდა თავისებური ენა, დედა ითვისებდა მუნჯურს. მალე ისე გაიწაფნენ, რომ ისინი თავისუფლად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს ხელებით. ლიდია კიდეც შეურიგდა ბედს, იცინოდა, თამაშობდა და ხტოდა ამხანაგებთან. ხანდახან, თავდავიწყებულ თამაშისას, ვისმეს უნებლიედ აწყენინებდა რაიმეს ან გაგულისებული ბავშვი შეჰმუხვნილი სახის გამომეტყველებით მიაძახებდა:

— მუნჯი, მუნჯი!

ლიდია ამხანაგის სახის გამომეტყველებაზე კითხულობდა ყველაფერს, კითხულობდა, მაგრამ სამაგიეროს ვერ უპასუხებდა. ამიტომ ისე გაანჩხლდებოდა, რომ ცახცახი აიტანდა:

დედას გული ეთუთქებოდა შვილის საცოდაობით. ხან ვის ეკითხებოდა და ხან ვის: იქნებ იცოდეთ იმისთანა ექიმი, რომ ბავშვი ამილაპარაკოსო.

ერთხელ მას უთხრეს, თბილისში არის ყრუმუნჯთა სკოლა, იქ წაიყვანე, მიაბარე და ასწავლიანო.

ორი დღის შემდეგ დედა და ლიდია ქალაქში იყვნენ, ყრუმუნჯთა სკოლის ეზოში. იქ ბევრ ბავშვს მოეყარა თავი. უფროსები მეტწილად ტუჩებით ლაპარაკობდნენ, ახლადმოყვანილები კი მხოლოდდამხოლოდ ხელებით.

— აბა, თქვენი შვილი მოიყვანეთ საკლასო ოთახში! — მიმართეს ლიდიას დედას. ბავშვი შეიყვანეს, მასწავლებლის პირდაპირ დააყენეს.

— შენ სადაური ხარ, პატარავ? რა გქვია? — ეკითხებოდა მასწავლებელი ლიდიას.

ლიდია დუმდა, მას არაფერი ესმოდა.

— კარგი. გასაგებია შენი მდგომარეობა. შენ ამიერიდან ჩვენი მოწაფე ქნები! — ჩაილაპარაკა მასწავლებელმა.

რადგან გზა არ იცოდა ლიდიამ, ამიტომ მეორე დღეს დედა მიჰყვა სკოლაში. იქ სხვებთან ერთად მეცადინეობა დაიწყებინეს ლიდიას. კედელზე გაკრული იყო ანბანი და სურათები. სურათებზე გამოხატული იყო ენის მოძრაობა სხვადასხვა ბგერის წარმოთქმის დროს.

— ააა... — დაიძახებდა მასწავლებელი და ბავშვებს ანიშნებდა, თუ როგორ წარმოეთქვათ ეს ბგერა. ზოგიერთი ბავშვი ახერხებდა წარმოთქმას, ზოგი კი ვერა. მაშინ მათთვის მანქანას მოიშველიებდნენ.

ასე სწავლობდა ლიდია რამდენიმე ხანს. მერე პირველ კლასში გადაიყვანეს, წერა-კითხვა დააწყებინეს. ნიჭიერი ბავშვისათვის ყველაფერი ადვილად დასაძლევი აღმოჩნდა. წერაც ისწავლა, კითხვაც. კითხულობდა პატარ-პატარა ლექსებს, მოთხრობებს.

* * *

შვიდ-რვა წელმა გაიარა ნაყოფიერ სწავლასა და მუშაობაში. ლიდიამ შესანიშნავად ისწავლა წერა-კითხვა, ისწავლა ფიზიკა, გეოგრაფია, ქიმია, ბიოლოგია... ისწავლა ქარგვა და ხატვა.

ახლა იგი ახალგაზრდა მხატვარია.

გიორგი კაჭახიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძმა ჰყავს უკვე



რა ქნას, როგორ არ იმღეროს,
რად არ გასცდეს ეზოს კარებს,
რად არ ამცნოს ბალჩას, ჯეჯილს,
რაც აღელვებს, რაც ახარებს!

აბა, მისებრ სხვა ვინ ეტყვის
მინდვრის ნიავს, ტყეს და შუკებს,
რომ ბუთხუზა კოკის ახლა
პაწაწინა ძმა ჰყავს უკვე.

გუშინ დილით, როცა ბალღმა
ქვეყნად თვალი გაახილა,—
კოკი, დღემდის დედისერთა,
შეიპარა სახლში ფრთხილად.

სიტყვა ვერ თქვა,
სიხარულით
მისი გული ისე ძგერდა,
გადახედა მხოლოდ ოთახს
და ბალღს ხარბად დააცქერდა.

ფრთებშესხმული მოუსვენრად
ეალერსა თვალით დიდხანს,
მობრუნდა და უხერხულად
ბოლოს დედას რაღაც ჰკითხა.

პასუხს აღარ დაუცადა,
გამოფრინდა უცებ გარეთ
და ჭიკჭიკა მერცხალივით
შესძრა ირგვლივ არემარე.

აი, დღესაც კვლავ უამბობს
მინდვრის ნიავს, ტყეს და შუკებს,
რომ ბუთხუზა კოკის ახლა
პაწაწინა ძმა ჰყავს უკვე.

ხტის და ფიქრში მომავალი
გადაშალა ლაღად ირგვლივ,
ძმა ბალღია, მაგრამ ნახეთ,
რა ვაჟკაცი დადგეს იგი.

მოუდგება კოკის გვერდით,
ძალგულოვანს ხელს ვინ ახლებს!
კოკი ფოლადს გამოადნობს,
ძმა.კი დადგამს მაღალ სახლებს...

ააშენებს სადმე კოშკსაც,
ყველა მთაზე მაღალს უფრო,
რომ იქიდან ერთად ძმებმა
ვარსკვლავებთან ისაუბრონ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მირანდა გამსახურდია

ფისო დედობილა

ჩვენს თამრიკოს კატები უყვარს ძალიან. ჩვენ კატა არა გვყავს.

დგას დილენიადაგ ფანჯარასთან თამრიკო, ეძახის მეზობლიანთ კატებს:

„ფისო, ჩემო ფისო, მოდი, თამრიკოსთან მოდი“.

ორი კატაა ჩვენს ეზოში, ერთი ექიმსა ჰყავს, ჩვენს პირდაპირ, მესამე სართულზე, ერთიც ინჟინერს, ქვემო სართულზე.

ექიმის კატა მშვენიერია, ტანხატულა და ვეფხისფერი, მუდამ სუფთა, მუდამ ფაქიზი.

ინჟინერის კატა უსიამოდ შავია და უცხვირპირო, ცოტა მსუნაგიც.

გასულ კვირას ორივე კატას მოეგოთ კნუტები. ინჟინერმა შემოგვთავაზა: ერთი კნუტი წაიყვანეთო, მაგრამ არ ავიყვანეთ, რადგან დედამისი ჩვენ არ მოგვწონდა.

ექიმის კნუტის აყვანას ვაპირებდით, მაგრამ ექიმთან შეხვედრას ვუცდიდით.

დასვენების დღეს ინჟინერის კატა მანქანამ გაიტანა.

სამი დღის შემდეგ კოკისპირული წვიმა მოვიდა.

მე მიყვარს წვიმის ყურება. საღამოს აივანზე ვზივარ და შევცქერი, თუ როგორ ჩამოქუხს წყალი სახურავიდან ეზოში. ექიმის ბინის კიბიდან კნუტის კნავილი მომესმა, უმწეო, გულის შემღონებელი.

არ შემიძლია ცხოველის წრიალის გულგრილად სმენა. ალბათ, ექიმს კნუტი დარჩენია გარეთ, ვიფიქრე. მოსასხამი წავილე, ძლივს ავედი ხვეულ კიბეზე.

ჩემი იქ მისვლა და კნუტის დადუმება ერთი იყო.

ვიცადე, ვიცადე, არც კნუტი ჩანდა სადმე, არც მისი კნავილი ისმოდა.

შინ გაბრუნებას ვაპირებდი, სწორედ ამ დროს თვალი მოვკარი ნახევრად ბნელში, რომ ექიმის ვეფხისფერი კატა ჩამოდიოდა მეოთხე სართულიდან.

კარგად დავაცქერდი, ჭრელი კნუტი ჰყავდა პირში გაჩრილი. მოვეალერსე კატას, ფრთხილად გამოვართვი კნუტი, ექიმის კარზე დავაკაკუნე მორიდებით. არავინ აღმოჩნდა შინ, ამიტომაც ჩვენსა წავიყვანე კნუტი. პაწია ფისო საცოდავად კანკალებდა და კნაოდა, არც რძე დალია, არც ხორცი გაიკარა. მთელი ღამე კნაოდა, წუწუნებდა.

მეორე დღეს თამრიკომ ნახა კნუტი. ახლა ბავშვი აატირა მისმა საცოდაობამ. ავიყვანე და ექიმის ცოლს მივგვარე. ქალმა გაიღიმა, ეს ჩემი არ არისო, თქვა, შინ შევიდა და უფრო მოზრდილი ორი კნუტი გამოიყვანა.

— რასა ბრძანებთ, — ვეუბნები, — ეს საცოდავი მე გამოვართვი მეთქი წუხელ თქვენს კატას პირიდან.

„აჰა, — სთქვა ექიმის ცოლმა, — ეს ინჟენერის კატის ობოლი ცინდალია, სამი კნუტი დარჩა ინჟენერის კატას და მათ ზრდის ჩვენი კატა.

როცა ამ საუბარში ვიყავით, დედობილი ფისო ამოდიოდა კიბეზე. მაშინვე ძირს დავსვი ცინდალი და გავეცალე. ჩემს თვალწინ დაავლო ვეფხისფერმა ფისომ ობოლ კნუტს პირი და ინჟენერის სახლისაკენ გააქანა.

პოსგა ხეთაგუროვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყუბალი

ზამთარ-ზაფხულ, მუდამ,
თავდახრილი დადის,
მოუხურავს მხრებზე
რაღაც მსგავსი ნაბდის
და ფანდურზე ხშირად
ის ამღერებს დარდით.

ბავშვობიდან ობლად,
უპატრონოდ დარჩა,
არ გააჩნდა მიწა,
არ აძლევდნენ სარჩოს,
შიმშილი და ცრემლი
საწყალ ყუბალს ახრჩობს.

ჭუჭყიანი იყო
ეს ტიტველი ბავშვი,
უმანკოს და ჩვილსა
სცემდა ყველა თავში,
ფეხშიშველი ეგდო
ზამთარ-ზაფხულ კარში.

დედისერთა ვაჟსა
არ გაუჩნდა არვინ,
რომ შეუშროს ცრემლი,
რომ გაულოს კარი,
ვინც დატოვა ობლად,
ალბათ, ცეცხლში არი.

დაიდაგოს, ვინც რომ
არ გაგაძღო რძითა,
ალერსით და ხვევნით,

ტკბილი ღიმილითა,
ობოლს თბილ კალთაში
ნანა ვინც არ გითხრა!

როცა იყო მწყემსად,—
იწვა ერთ ბოსელში,
როცა თოვდა,—ეპყრა
სალამური ხელში,
აგზავნიდა ჰანგებს
მთიდან გაშლილ ველში;

მწყემსს უყვარდა ცხვარი,
ბალახს ცხვრისთვის ჭრიდა,
ბანდულიან ვაჟსა
ლექსის ეშხიც სჭირდა,
და ფანდური მოჭრა
არყის მეჭეჭიდან.

შეიყვარეს მწყემსი
კლდემ, ხეებმა, მთებმა,
გაუშალეს გული,
მწყემსიც ტრფობით თბება,
ქარს სიმღერა უყვარს
და მწყემსს ყურის გდება.

არწივების ქროლა,
ზეცა ელვით მკვესი,
ცრემლი დაჭრილ ირმის,
წყალი ხევში მკვნესი,—
ყველაფერი ახლა
სიმღერაა მწყემსის.

დარი წვიმის შემდეგ,
ბინა სოველ ცხვრისთვის,
კარგი საძოვრები,
მთაზე დნობა ნისლის
და მაძღარი ფარა,—
ოცნებაა მისი.

ხომ არ გატანს დიდხანს
ბედნიერი წუთი,
ბრმა ხიფათი მუდამ
ადამიანს უცდის,
მზიან დღესაც ხშირად
ცვლის ამინდი ცუდი.

თუ მოსტაცა მგელმა
ფარას ღამით ცხვარი,
თუ ფარაში რამე
სნეულება არი,—
სჯობს დაადგოს მაშინ
მწყემსმა მთა და ბარი;

ცხვრების დაუთვლელად
მწყემსი პურს არ ჭამდა,
საქმის ერთგულება
მას ხატივით სწამდა...
ერთ დღეს ოცი ცხვარი
ფარაში არ ჩანდა.

დაეკარგა ცხვარი,
სად ეძიოს, ნეტავ?
და ავგუსტა ბატონს
თქმას ვერ გაუბედავს...
შიშმა აიტანა,
სიკვდილს თვალწინ ხედავს.

რა ტკბილია სული,
როცა ხიფათს ელი,
შეეშინდა საწყალს,
გახდა მწყემსი ხელი,
სურს გაქცევა, ნახოს
სადმე ბნელი ხვრელი.

და გაიქცა... თავი
მიანება ფარას,
მიაშურა სერებს,
შორს მიმავალ შარას,
გადიარა მთები,
მიდის, მიდის ჩქარა.

რომ დაავდო ფარა,
მერე ფანდურს ენდო,
კავკასიის მთები
იმის გზაზე ეგდო,
იატაკად ველი
და ცა ჰქონდა ერდოდ.

და ოსეთში ყველგან,
ყაბარდოში, იქით,
ახალქალაქს, კახეთს—
ძმური სიტყვა მიქრის,
ნადირების, მთების
და მდინარის ფიქრი.

ყურს უგდებდა სიტყვას
სულგანაბვით მხარე,
ბოლო არ უჩანდა
ჰანგებს მომქუხარეს,
ხან იწვევდა ღიმილს
და ხან სევდას [illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და სიმღერა მისი
არ კარგავდა ეშხსა,
და ვერ ღლიდა გზები
იმის რკინის ფეხსა...
უსინათლო ჩვენთან
ჩამოსულა დღესა.

ზამთარ-ზაფხულ, მუდამ,
თავდახრილი, წყნარი,
ტყავის ქურქით, ნუთუ
არ ცნობთ, ის ვინ არი?
ყუბადია თავის
ჯადოსნური ქნარით.

თარგმანი: **მიქელ პატარიძისა.**

ი. გრიშაშვილი

ნორჩ პოეტს

მაყვალა გოძიაშვილს

ახალგაზრდა პოეტო,
დაგულოცოს მშობელი!
კახეთივით კარგი ხარ,
შაირების მწყობელი.

ზოგი ოქროს დაეძებს,
თხრის და აწყობს ზოდებად,
ზოგი წარსულს მისტირის,—
შორს იმათი გოდება!

მე პოეტებს დავეძებ
ახალგაზრდებს, ჭკვიანებს,
ვინც სამშობლოს ხეხილებს
სხლავს და არ აჭიანებს.

შენი მწიფე ლექსები
ნეტავ კიდევ მენახა...
სხვაც გაქებდა, თუ მარტო
ჩემი აღმოჩენა ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სულავა

ბავშვების მოსიყვარულე მწერალი

შვიდ აგვისტოს გარდაიცვალა მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილი; იგი იყო ქართველი ხალხის საყვარელი მწერალი, მან ეს სიყვარული დაიმსახურა თავისი ნიჭითა და შემოქმედებითი უნარით. ე. გაბაშვილი წერდა შესანიშნავ მოთხრობებს, სადაც ასურათებდა იმდროინდელ ცხოვრებას, როდესაც ქართველი ხალხის უმრავლესობა — გლეხკაცობა — ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო. ერთი მხრით, გლეხობას ყვლეფდა მებატონე, რომლის მიწაზედაც გლეხი მუშაობდა და მოსავლის ნახევარზე მეტს მას აძლევდა, მეორე მხრით — ჩარჩ-ვაჭრები, მღვდლები, მოხელეები.

ხალხის ინტერესს მწერლები ესარჩლებოდნენ, რომლებიც თავიანთი ნაწარმოებებით ასურათებდნენ გლეხთა გაჭირვებულ ცხოვრებას, რომ ამით ყველასათვის დაენახვებინათ მაშინდელი ცხოვრების უვარგისობა.

ე. გაბაშვილი სწორედ ისეთი მწერალი იყო, რომელმაც მიზნად დაისახა ქართველი გლეხკაცობის გაჭირვებული ცხოვრების ასახვა.

ე. გაბაშვილის ისეთი მოთხრობები, როგორიცაა „ღვინია გადაიჩეხა“, „მეურმის ფიქრები“, „სოფლის მევახშენი“, „ხოლერა“, „სურათი“ გლეხკაცობის გაჭირვებული ცხოვრების გამომხატველი ნაწარმოებებია. ამ მოთხრობებიდან ნათლად მოჩანს, თუ ვინ იყვნენ ხალხის მტრები, ვინ იბრიყვებდა და ჩაგრავდა მშრომელებს.

საიდან იცნობდა ე. გაბაშვილი გლეხობის ცხოვრებას? ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლების გატარება ე. გაბაშვილს სოფელში უხდებოდა. 19 წლისა იყო, როდესაც პირველად აიღო ხელში კალამი და დაწერა „გლეხკაცობის აზრი სასოფლო სკოლაზე“ და ამის შემდეგ მას არასდროს არ დაუნებებია თავი გლეხობის გაჭირვებულ ცხოვრებაზე ფიქრისათვის. მისი მოთხრობების დიდი ნაწილი ამ საკითხს შეეხება. ამით დაიმსახურა მან ხალხში საყვარელი მწერლის სახელი.

განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ე. გაბაშვილს ქართული საბავშვო მწერლობის წინაშე. საბავშვო მოთხრობებშიც ე. გაბაშვილი გამოხატავდა გლეხი ბავშვების ღარიბულ, უხალისო ცხოვრებას. იგი განსაკუთრებით დიდი მოსარჩლე იყო ობოლი, უპატრონო, გაჭირვებული ბავშვებისა. იგი თავისი მოთხრობებით ასწავლიდა თავის მკითხველებს ბავშვებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებასა და სიყვარულს.

მოთხრობა „თინას ლეკურში“ ე. გაბაშვილმა გამოხატა მოხუცი ბებიის თავდადება ობოლი და მშიერი შვილიშვილებისათვის. ბებია წავიდა თავადის ოჯახში ლხინზე და ისე იცეკვა ლეკური, რომ იქვე განუტევა სული. მოხუცი მოკვდა, მაგრამ დროებით მაინც უშოვა საზრდო შვილიშვილებს.

ე. გაბაშვილის ერთი შესანიშნავი მოთხრობათაგანია „ღვინია გადაიჩეხა“. ამ მოთხრობაში აღწერილია გლეხის ოჯახის უბედურება; დიდებთან ერთად ამ უბედურებას პატარებიც განიცდიან. გლეხმა ნინიკამ შეშა წაიღო ქალაქში გასაყიდად, მას თან გაჰყვა ათი წლის მიხა. შინ დარჩნენ პატარა ფეფე, ცოლი და მოხუცი მამა. ნინიკას ქალაქში უგულო ადამიანების წყალობით ხიფათი შეემთხვა: ყინულზე დაემტვრა ოჯახის იმედი და მარჩენალი ღვინია. სიხარულისა და საჩუქრების მაგიერ ოჯახს მწუხარება დაატყდა.

ე. გაბაშვილის მოთხრობა „მაგდანას ლურჯა“ მეტად ცნობილი ნაწარმოებია. ამ მოთხრობას მრავალი ბავშვის გული აუთრთოლებია. ქვრივ მაგდანას ფეხით ჩაქონდა რძე და მაწონი ქალაქში. ერთხელ მისმა ბავშვებმა ავადმყოფი სახედარი იპოვნეს. კარგი მოვლით სახედარი გამოკეთდა. დიდი ხნის შემდეგ სახედარს პატრონი გამოუჩნდა, საქმე სასამართლომდე მივიდა, მაგრამ მაგდანამ გაიმარჯვა. მაგდანას ოჯახს ისევ ეწვია სიხარული.

ე. გაბაშვილს უყვარს ბუნების ლამაზი სურათების აღწერა, იგი ისე მომხიბვლელად აღწერს მწვანე მოლის სიმშვენიერეს, ნაკადულის ლიკლიკს, რომ ერთი წაკითხვითაც არ დაგავიწყდებათ. ასეთია მისი პატარა მოთხრობა „ნაკადული“ და სხვ.

ძველი თაობის მწერლებიდან ე. გაბაშვილი იყო უხუცესი მწერალთაგანი. მან დიდხანს იცოცხლა, იგი იყო 87 წლისა. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს სოციალიზმის ქვეყნის ბავშვების ცხოვრებას. ძველად ე. გაბაშვილი თანამშრომლობდა ჟურნალ „ნაკადულსა“ და „ჯეჯილში“, შემდეგ—ჩვენს საბავშვო ჟურნალებშიაც.

ე. გაბაშვილის სახელს არადროს არ დაივიწყებენ ქართული მწერლობა და საბჭოთა ბავშვები, რომლებიც ე. გაბაშვილის მოთხრობებით ეცნობიან ბავშვთა წარსულ ცხოვრებასა და ყოფას.

ეკატერინე გაბაშვილი მოწაფეებში 1918 წ.

ლევრენტი ჭიჭინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკატერინე გაბაშვილი

საბავშვო ჟურნალებში რომ დავიწყე მუშაობა, მაშინ ჟურნალებში უმეტესად ახალგაზრდები თანამშრომლობდნენ. ეს იყო 1933 წელი. საჭირო იყო ძველი მწერლების შემოკრება ჟურნალების გარშემო. ამ მიზნით ჩვენი რედაქციის საქმიანობასთან დავაახლოვეთ ისეთი საბჭოთა მწერლები, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ ეწერათ ბავშვებისათვის. ესენი იყვნენ: გ. ქუჩიშვილი, ი. გრიშაშვილი, რ. ქორქია, მარიჯანი, ს. ქვარიანი და სხვები. ნ. ნაკაშიძე ხომ მუდამ საბავშვო ჟურნალებთან იყო და არის ამჟამადაც.

ჩვენ ეკატერინე გაბაშვილიც არ დაგვივიწყნია, რამდენჯერმე ვინახულეთ შინ, ცხოვრობდა საკუთარ სახლში, თავისი სახელობის ქუჩაზე. ჩვენმა მისვლამ ძალიან გაახარა მხცოვანი მწერალი. შემდგომ გაბაშვილი ხშირი სტუმარი გახდა ჩვენი რედაქციისა. მოვიდოდა, ღიმილით მოგვესალმებოდა ეს ბედნიერი მოხუცი და დედასავით დაგვიწყებდა საუბარს. როცა კარგ საბავშვო მოთხრობასა და ლექსს წაიკითხავდა, აღფრთოვანებული იყო, თვალები უბრწყინავდა სიხარულით. დიდ ყურადღებას აქცევდა ენას. როცა ამ მხრივ რომელიმე ახალგაზრდის მოთხრობა მოეწონებოდა, დაწვრილებით გამოიკითხავდა ავტორის ვინაობას, დაინტერესებული იყო მისი პირადად გაცნობითაც.

როგორც კი შევხვდებოდი ეკ. გაბაშვილს, მაშინვე ვთხოვდი, რომ ჩვენი ჟურნალისათვის მოთხრობა დაეწერა, მაგრამ ის ასეთ პასუხს იძლეოდა: დიდი სურვილი მაქვს დავწერო რაიმე საყმაწვილო მოთხრობა, მაგრამ არ ვიცნობ ახალ სოფელს. წამიყვანეთ „კოლხოზებში", მაჩვენეთ პიონერთა ბანაკები.

ყოველთვის ასე ახალგაზრდული გატაცებით ლაპარაკობდა ეს წელში მოხრილი, ღრმა მოხუცი მწერალი.

მას დიდხანს არ უყვარდა რედაქციაში დარჩენა, რაც ჰქონდა სათქმელი, იტყოდა და წასასვლელად მოემზადებოდა. ალბათ, ფიქრობდა: ალარაფერი მესმის და ვინძეს თავი არ მოვაბეზროო, მაგრამ ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის თანამედროვე, მათთან ნამოღვაწევი მწერალი შუაში გვეჯდა ხოლმე.

ეკ. გაბაშვილმა 1935 წელს დაწერა ჟურ. „ოქტომბრელისათვის" ერთი მოთხრობა. სათაური ვერ მოეგონებინა, რადგან მოთხრობა წარსული საუკუნის ყოფა-ცხოვრების ამსახველი იყო, ამიტომ ვურჩიე „ძველი ამბავი" დაერქმია. დამეთანხმა. ამ მოთხრობის ბეჭდვა სამ ნომერში გაგრძელდა. თითო ნომერში ას-ასი მანეთი ჰქონდა გამოწერილი. როცა მას ფული მივართვით, არ იცოდა რამდენი იყო, მაგრამ წინასწარვე უარი განაცხადა:

ეკ. გაბაშვილი შვილიშვილთან. 1905 წ.

საყმაწვილო ჟურნალები ღარიბია და ჩემ ჰონორარს რედაქციას ვწირავო.

მას ახლაც ძველი ჟურნალებივით ღარიბი ეგონა ჩვენი ჟურნალები. მეფის დროს ჟურნალებს კერძო პირები ცემდნენ და ამიტომ ძალიან ხელმოკლედ იყვნენ. როცა ვუთხარით: ჩვენს ჟურნალებს შემოწირულება არ-სჭირდება, ამათ სახელმწიფო პატრონობსთქო, გაეხარდა და 100 მანეთიც მიიღო. როცა დანარჩენი ორი ას-ასი მანეთიც მიიღო, გაოცდა: პირველად რომ ასი მანეთი მივიღე, მთელი მოთხრობისა მეგონა. ერთ მოთხრობაში ამდენი ჰონორარი? ამდენი ძველად მე მთელს სიცოცხლეში არ ამიღიაო.

ასე გახცვიფრებული ლაპარაკობდა ეს ბედნიერი, კეთილი მოხუცი. ის იმდენს თავის პირად ცხოვრებაზე არ ფიქრობდა, რამდენსაც საბავშვო ჟურნალებსა და ნორჩი თაობის სულიერ საზრდოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია სიხარულიძე

დადის ფერმის მამალი
თავის ურიცხვ ამალით;
დაჰყვებიან დედლები,
უხვად კვერცხის მდებლები;

კრუხი უხმობს წიწილებს,
ცელქებს აღარ იცილებს,
საკენკს, ჭიებს სთავაზობს,
ხან უყვავებს, ხან ბრაზობს.

ერთი შეხეთ ყვინჩილებს,
ბიჭებს ხმაჩახლეჩილებს, —
ყივიან, ყელს ძაბავენ,
თავის მამას ბაძავენ.

დადის ფერმის მამალი
თავის ურიცხვ ამალით,
თავის ურიცხვ მხლებლებით,
კრუხ-წიწილა-დედლებით;

ნეტავ, ერთი, განახათ,
როგორ დადის ამაყად:

ფეხებს დინჯად აბიჯებს,
ითვლის, ზომავს ნაბიჯებს;
სახე წითლად ულვივის,
დასეირნობს და ყივის.

ფხიზლობს ჩვენი მამალი,
თუ სად მოჰკრა ქორს თვალი, —
დედლებს, კრუხს და წიწილებს
შეძახილით აფრთხილებს.

დასეირნობს მამალი
თავის ურიცხვ ნამრავლით;
ასე ფიქრობს: ფერმაში
არავინ ჰყავს ბადალი.

ნინო ნაკაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეკეკა

(ზღაპარი)

მომქმედნი:

1. ბებია.
2. თიკანი — ბეკეკა.
3. თხა — ნაცარა.
4. მგელი.
5. ქოფაკი — ფარეხა.
6. ტურა — ტუროსანი.

სცენა წარმოადგენს ორად გაყოფილ ტყეს. ერთ მხარეს ხეებში მგელი კურდღელს ჭამს, ხეებიდან ბილიკი მიდის მაღლა სერზე. მეორე მხარეს ხეებს შუა პატარა მინდორია. მინდვრის ნაპირას ჩირგვებია. მინდორში სერიდან ჩამოდის ბილიკი. პატარა თიკანი ნეკერს აკნატუნებს. ხეებში მგელს ფრთხილად, გაუბედავად უახლოვდება ტურა. პირიდან ნერწყვი სდის, მშიერია. როდესაც მიუახლოვდება, ცოტახანს შეჩერდება.

ტურა: — უყურე ამ გაუმაძღარს, ღორმუცელას, ძვლებიც კი გამოუხრავს! (მდაბალ სალამს აძლევს) გამარჯობა, ბატონო ბიძიავ! (მგელი არავითარ ყურადღებას არ აქცევს, განაგრძობს ჭამას. ტურა კიდევ აძლევს სალამს) — დილა მშვიდობისა, ბატონო ბიძიავ!

მგელი: — რაო, ქურდბაცაცავ, ვინაა შენი ბიძა? ვერ მოგაშლევინე, ასე ნუ მეძახი მეთქი!

ტურა: — ასე გამიგონია, ბატონო, რომ ტურა მგლის მონათესავეაო, და შენ თუ არ მკადრულობ...

მგელი: — ეჰე, მაგისთანებიც იცი? აბა რა საკადრისი ხარ, მშიშარა

და გამოუსადეგარი, პირი რომ დაგიღრენია და თავი ვერ დაგირჩენია...

ტურა: — რა ვქნა, ბიძიავ, წუხელის მთელი ღამე ვნადირობდი.

მგელი: — ვიცი, როგორც ნადირობდი. მთელი ღამე სერზე გადმომდგარი ჩხაოდი.

ტურა: — თვალიც არ მომიხუჭავს, ბიძია ბატონო, ნადირს ვაშინებდი, გამოვარდება სოროდან და ვეცემი მეთქი. აი ამიტომ ვყვიროდით მთელი ღამე, მარტო მე კი არა, ჩემი ცხრა ძმაც.

მგელი: — (ასწევს თავს და იცინის) — ოხ, ოხ, ხო, ხო, ბრიყვი! ხა, ხა, ხა... გამოვარდებაო და პირში ჩამივარდებაო?

შენი ყვირილით სულ დააფრთხე წვრილი ნადირი! ძლივს ეს კურდღელი დავიჭირე ჩირგვში მიმალული, ისიც მაშინ, როდესაც შენ და შენი ცხრა ძმა დაჩუმდით.

ტურა: — ძალიან მშია, ბიძია, და...

მგელი: — აი, აგერ ძვლები გამოხარი. (ტურა მოკრძალებით მიათრევს ძვლებს, ატრიალებს და ხრავს).

ტურა: — მე სულ შენზე ვზრუნავ, ბატონო ბიძიავ, და შენ კი გამოხრული ძვლებით მისტუმრებ.

მგელი: — აბა, რას ზრუნავ, რა ზრუნვა შეგიძლია, შე მშიშარავ და მატყუარავ.

ტურა: — თუ ცოტას მეც მიწილადებ, მოგახსენებ და დაგანახვებ, რა მსუქანი ნადირია აქვე ახლოს.

მგელი: — მე რომ შენი ამბავი ვიცი, თაგვი იქნება, ან კუ.

ტურა: — თაგვი და კუ რა საკადრისია, ისეთი ნადირია, რომ (იკოცნის თათზე) იმის შეჭმას არაფერი ჯობს.

მგელი: — აბა, სადაა, წამიყვანე. თუ მსუქანი და დიდია, რატომაც არ გიწილადებ, თუმცა ახლა ჭამა ალარ მინდა. არც ნადირის მოკვლა მეხალისება... მაგრამ მაინც მითხარი, სადაა ის შენი სანაქებო ნადირი.

ტურა: — აი, ბატონო, ამ ბილიკს გაყვები და სერს რომ გადაადგები, მწვანე მინდორში გახვალ, იქ მიირთმევს ნეკერს.

მგელი: — დიდია?

ტურა: — ჩემთვის დიდია, ბატონო, და შენთვის კამეჩიც არაა დიდი, ლომი და ვეფხვიც ვერ დაგიდგებიან წინ.

მგელი: — (ესიამოვნება ქება) ჰიო, ეს ბართალია. ლომი და ვეფხვი სწრაფი არიან, თორემ ლონე ჩემზე ეძებნეთ - ექნებათ. აბა, ვნახოთ ახლა შენი ნადირი (იწმენდს პირს და მიიპარება ხეებსა და ჩირგვებში).

ტურა: — (გადაატრიალ - გადმოატრიალებს ძვლებს, გაქექავს, მერე ორივე წინა თათით ქოქოლას მიაყრის მიმავალ მგელს) გაუმაძღარი ლორმუცელა! მაგას რამე გადარჩებოდა, მაგ კისერგაშეშებულს? (აჯავრებს) — ლომი და ვეფხვი სწრაფია, თორემ ლონე ჩემზე მეტი არ ექნებათო! როგორ არა! ამ თიკანს მეც კი მოვერეოდი, მაგრამ მეშინია არავინ ახლდეს (კვლანჭვით გამოუდგება).

(მეორე მხარეს ხეებითა და ჩირგვებით შემოფარგლული მწვანე მინდორია. მინდორში სერიდან ბილიკი ჩამოდის. პატარა თიკანი ნეკერს შეექცევა, თანაც ხანდახან შეიკუნტრუშებს, ცეკვავს და მღერის. მგელი და ტურა გამოყოფენ თავს ხეებში და ყურს უგდებენ თიკნის სიმღერას, თიკანი მათ ვერ ხედავს).

თიკანი: — (მღერის).

„ბეკეკა ვარ, ბეკეკა,
ლამაზი და კოხტა,
მგლისა მე არ მეშინია:
ის ხომ გუშინ მოკვდა,
ის ხომ გუშინ მოკვდა.

—

ჩემი დედა ბასრრქიანი,
მშვენიერი თხა ნაცარა.
მგელი იმას რას დააკლებს,
თუ წვერი დააცანცარა,
თუ წვერი დააცანცარა.

(ტურა ხეს ეფარება და ჩუმად კვდება სიცილით).

მგელი: — (გაბრაზებული) უყურე ამ ტუტუცს, როგორ მლანძღავს. შეხედე, ერთი, მგელი გუშინ მოკვდაო. მე გაყურებინებ, როგორც მოვკვდი. არა, ბიძია, სამგლეთი ჯერ არ ამოწყვეტილა. შენი ბედი, რომ ახლა არ მშია, თორემ ერთ წუთში გადაგსანსლავდი.

ტ უ რ ა: —(ტირილით) ბატონო ბიძიავ, რაღას უყურებ, ეცი ჩქარა, თორემ საცაა მოვა ის საშინელი ბასრრქებიანი თხა-ნაცარა...

მ გ ე ლ ი: —სუ, შე ჩლაჩუნავ, მე ის თხა-ნაცარაც უნდა ჩავიგდო ხელში, თორემ ამ ტრაბახა თიკანმა რა უნდა მიყოს.

(წაიწევს წინ, შედგება და დაუღრიალებს)

—ჰეი, შე თავხედო, ვინ მოგცა ნება, რომ ჩემ ბიბინა მინდორში ბალახობ?

თ ი კ ა ნ ი: —განა ეს მინდორი შენია, მე დედაჩემმა თხა-ნაცარამ მომიყვანა აქ და მითხრა: ეს მინდორი ყველასია და აქ იბალახეო.

მ გ ე ლ ი: —რაო, რაო, რაო, დედაშენმა გითხრა? მერე, დედაშენისა გჯერა და ჩემი არა?

თ ი კ ა ნ ი: —დიახ, დიახ, მჯერა. დედაჩემი თხა-ნაცარა ყოველთვის მართალს ამბობს.

მ გ ე ლ ი: —რას მიედ-მოედები, დედაშენი უთუოდ გაგიჟდა, თორემ ყველამ იცის, ეს მინდორი ჩემია.

თ ი კ ა ნ ი: —შენ ხუმრობ, კბილებზე გეტყობა, რომ ბალახს არ ჭამ და მინდორი რად გინდა?

მ გ ე ლ ი: —რა შენი საქმეა, მინდორი რად მინდა!

თ ი კ ა ნ ი: —ვინა ხარ, რა ხარ, რატომ ბრაზობ?

მ გ ე ლ ი: —ჰოო, თუმცა შენ მღეროდი მგელი გუშინ მოკვდაო, მაგრამ, როგორც ხედავ, ცოცხალი ვარ.

თ ი კ ა ნ ი: —(თიკანი შეშინდება)—შენ მგელი ხარ? მე ისე ვმღეროდი, ახლა შემჭამ? შენ უსამართლო ხარ?

მ გ ე ლ ი: —მე და უსამართლო? აი, ამიტომ, რომ არავინ თქვას მგელი უსამართლოაო, გაიქეცი, ახლავე მოიყვანე დედაშენი თხა-ნაცარა და კიდევ ერთი მოწმე, მეც მოვიყვან მოწმეს და, თუ იტყვიან მინდორი ყველასიაო, აღარ შეგჭამ, თუ არა და ნუ დამემდურები, რა ვქნა, უნდა შეგჭამო.

თ ი კ ა ნ ი: —(დაფაცურდება, დატრიალდება) კარგი, კარგი, მოვიყვან, მოვიყვან, ახლავე მოვიყვან!

ტ უ რ ა: —არ გაუშვა, არ დამღუპო, ბატონო, არ მოიყვანს, მოგვატყუებს.

თ ი კ ა ნ ი: —(მოტრიალდება წყენით)—მე მატყუარა არა ვარ. შენ ვინა ხარ, რომ ცილს მწამებ?

მ გ ე ლ ი: —აბა, იცოდე, არ დაიგვიანო, თორემ მე ვიცი შენი... ოროვეს, შენ და დედაშენს თხა-ნაცარას საბალახო მინდორი კი არა... ისე გადაგსანსლავთ, რომ...

თ ი კ ა ნ ი: —მაგრამ ჩვენ ხომ დავამტკიცებთ, რომ მინდორი ყველასია.

მ გ ე ლ ი: —ჰო, დაამტკიცებთ (თიკანი მირბის, მგელი ხარხარებს). იხო, ხო-ხო, დავამტკიცებთო.. ხა-ხა-ხა! დაამტკიცე, დაამტკიცე! ხედავ, რა პატიოსანი თიკანი ბრძანდება! მოწმედ, რასაკვირველია, ვაცს მოიყვანს. ერთის მაგიერ სამი თხა მოვა. ამ თიკანს შენ მოგცემ, შე ჩლაჩუნავ. არა, ჯერ არ გადავწყვეტ, რომელს მოგ-

თბილისი

ცემ. ჯერ ვნახო, ეგება გაძვალტყავებულია ის თხა-ნაცარა, წვერცანცარა. აბა, ახლა ერთი დაუარე, ხომ გამხიარულდი, იცეკვე, იმღერე.

ტურა: — (ხვნეშით) — რა მეცეკვება, ან რა მემღერება, შიმშილით ვკვდები.

მგელი: — როგორ? უარს მიბედავ? იცეკვე ახლავე, იმღერე, გიბძანებ!

ტურა: — (შეშინებული) ცეკვავს და მღერის ატირებული ხმით:

ვაი საწყალო ტურაო,
როგორ მოტყუვდა მგელიო,
მაგრამ მაგ ღორმუცელასგან
სიკეთეს ნუ მოელიო,
ვაი, ვაი, ვაი! უუ — უუ — უუ...

მგელი: — რაო, რაო, რაო, რას ბურტყუნებ?

ტურა: — ბატონო, შენ გადიდებდი.

მგელი: — ჰოო, ეგ სხვაა. აბა ახლა მე მიყურე, როგორი სიმღერა ვიცი. ოხ, რა თიკანია, პირდაპირ ცეკვის გუნებაზე დამაყენა. (ცეკვავს) მაღლა-მაღლა დახტის და ღრიალებს:

მე ვარ მგელი, შიშის მგვრელი
ნადირის და კაცის,
თიკანი კი თხებს მოიყვანს,
მიყვარს ხორცი ვაცის.
ოჰოო, ჰო, ჰო, ჰო, ეჰე, ეჰე,
მიყვარს ხორცი ვაცის.

(ტურა უყურებს და მწარედ ხითხითებს. ტყეში გავარდება თოფი. ტურა უცებ გაქრება. მგელი ცოტახანს გაწვება ჩირგვებში, გაიხედავს იქით-აქეთ, მერმე ადგება და სიფრთხილით მიიპარება ხეებში).

(დასასრული იქნება).

მამაცი მედოლე

ესპანეთში არის მთები მონტსერატის სახელწოდებით. ამ მთებში ძალიან ძლიერი გამოძახილი იცის. იქ როცა რაიმე სიტყვას დაიყვირებ, სიტყვის ბოლო ბგერები მთებში ასჯერ განმეორდება. შემოჰკრავ ტაშს და გეგონება, რომ ასი კაცი უკრავს ტაშს შენთან ერთად, ისე, როგორც თეატრში.

ეს იყო დიდიხნის წინათ. ესპანეთს, ისე როგორც ახლა, მტრები დაესხნენ თავს. ესენი იყვნენ საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონის მეომრები. ისინი მიუახლოვდნენ მთებს. მთებში კი იმ დროს ესპანელი ჯარისკაცები ძალიან ცოტანი იყვნენ — სულ ერთი პატარა რაზმი, მტრები — აურაცხელი. და აი, ეს-ეს არის შემოვლენ ისინი მონტსერატის მთებში.

მაგრამ ესპანელების რაზმში იყო ერთი მედოლე — პატარა ბიჭი. ის ძალიან ჭკვიანი და გულადი იყო.

ბიჭი დაიმალა კლდეებს შორის და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დასცხო თავის დოლს.

უცბათ მტრებს შემოესმათ ასი დოლის გრიალი. ისინი შეჩერდნენ და იფიქრეს, რომ მათ შესახვედრად, ალბათ, მოდის ესპანეთის მთელი ჯარი — მთელი არმია.

დოლი კი კვლავ სცემდა უფრო და უფრო ხმამაღლა, და კლდეებში გამოძახილი გრგვინავდა მანამდე, სანამ ნაპოლეონის ჯარისკაცები არ გაიქცნენ.

მათ არ იცოდნენ, რომ მათთან სულ ახლოს კლდეებში დამალული იყო მხოლოდ ერთი მამაცი პატარა მედოლე.

თარგმნილი ჟურნალ „ჩიჟიდან".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენატლიკინა ზაირა

(ვუძღვნი ზაირას)

მე მყავს პატარა დაიკო,
ზაირა ენატლიკინა,
სულ დიდებს ბაძავს საქმეში
ეს გოგო, ჩემი ტიკინა.

საჭმელი როგორც მე მინდა,
მოითხოვს ისიც იმასა,
კაბასაც ისეთს ჩაიცვამს,
როგორსაც ვიცვამ, იმ წამსა.

ჩემ ტოლ-ამხანაგს ისიც ხომ
ეძახის თავის ტოლებსა,
კუთხეც მან ჩემებრ გაიწყო
და პრანჭვით გრეხავს ხელებსა.

ხშირად მომმართავს თქვენობით,
ზრდილობის მოყვარულია,
მაგრამ თუ უცებ შემომწყრა,
ვაჰ, მაშინ ჩემი ბრალია!

მრისხანე სახეს მიიღებს,
მიყურებს როგორც მგელია,
ცალ თვალს სარკისკენ აპარებს,
თუ მრისხანება ჰშვენია.

თბილისის მე-18-ე სკოლის III კლასის მოსწავლე
მედეა კანდელაკი

გამოცანები

1.

არც კუდი აქვს, არც ფრთები,
არცა თვლებით დაგოგავს,
ლამაზი და მსუბუქი
გაშლილ ქოლგას ჩამოჰგავს.

ცის სივრციდან მიწაზე
ემარჯვება დაშვება,
ვინც კი მას მიენდობა —
უვნებელი დარჩება.

2.

ხვლიკის მონათესავეა,
კუდგრძელა და ტანპატარა,
ყოველ ადგილს ეგუება
და ფერს იცვლის წარამარა.

ალ. საჩინოელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიოვარჯიშის გაკვეთილი

1. ფუ, დამძინებია.

2. რა უცნაურ ვარჯიშს გადმოსცემენ დღეს.

3. პირველად მიხდება ამ ვარჯიშის გაკეთება.

4. ნუთუ ესეც მე უნდა გავაკეთო?

5. მეშინია, რომ ვარჯიშობის შემდეგ ველარ გავშალო დახლართული ტანი.

6. ხმა რეპროდუქტორიდან: ლექცია თემაზე, როგორ უნდა დაიწნას კალათა, დამთავრებულია. მშვიდობით, ამხანაგებო!

სცადე განთავისუფლება

აიღე ხუთი მეტრის სიგრძის კანაფი, ბოლოები ერთმანეთზე გადაუკვანძე და საღილეზე გაიკეთე ისე, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები. მეორე ბოლო ვინმეს დააჭერინე. ეხლა შეეცადე განთავისუფლდე კვანძის გახსნა ან გაჭრა, რასაკვირველია, არ შეიძლება.